



სრიბპ

საკონკურსო პირობები

პრიორიტეტი 4 ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება
ლონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების
ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა
ქვე-ლონისძიება 4.3. ა. სოციალური ინფრასტრუქტურის
გაუმჯობესება

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების
პროგრამა

2020-2022

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო

24 მაისი, 2021

I. ინფორმაცია კონკურსის შესახებ

საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისია (შემდგომში კომისია) 2021 წლის 7 ივნისიდან მაისიდან აცხადებს საგრანტო კონკურსს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (შემდგომში - სრიგპ) განსახორციელებლად. საკონკურსო პირობები მოწონებულია საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ.

კონკურსის გამოცხადების თარიღი	07.06.2021
კონკურსის ჩატარების პროცედურა	ორეტაპიანი
კონკურსში განაცხადების წარდგენის ვადა	პირველი ეტაპისთვის - 07.06.2021 – 25.01.2022; მეორე ეტაპისთვის - 07.07.2021-31.03.2022
საპროექტო იდეების და საპროექტო წინადადებების შერჩევის თარიღი	საპროექტო იდეა - 2021 წლის 25 ივნისიდან (არაუმეტეს თვეში ორჯერ); საპროექტო წინადადება - 2021 წლის 7 ივლისიდან (არაუმეტეს თვეში ორჯერ)
პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღი	14 ივლისიდან 2021
საპროექტო განაცხადების წარდგენა	საპროექტო განაცხადის წარდგენა ხდება შესაბამისი რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის საშუალებით.
სრიგპ-ის პრიორიტეტი და ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ცხადდება კონკურსი	მე-4 პრიორიტეტი „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“ ღონისძიება 4.2 „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა“ ქვე-ღონისძიება 4.3. ა. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
კონკურსით დასაფინანსებელი პროექტების სახეობები	ღონისძიება 4.2 „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა“ <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესთან ან სხვა ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება; • მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განახლება (რომლებიც მოქალაქეებსა და ტურისტებს ემსახურება, მათ შორის რეკრეაციული ზონების ორგანიზება/რეაბილიტაცია, ქუჩები,

	<p>ტროტუარები, პარკირების ადგილები, შადრევნები, სკვერები, ძეგლები, ბავშვებისთვის სპორტული მოედანი, სპორტული ობიექტები);</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესთან ან სხვა ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია • ტურისტული ან სხვა სახის მომსახურებების შეთავაზების მიზნით საჯარო შენობებ/ნაგებობების განახლება • ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა • ადგილობრივი გზების (და თანმხლები ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება, რაც ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს • მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის უზრუნველყოფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზების გაყვანა/მონტაჟისთვის საჭირო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების, მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების, ღარების (სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია) მოწყობა • საპროექტო განაცხადი შეგიძლიათ წარმოადგინოთ იმ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რომელიც მოცემულ ველში - პროექტის სახეობების ჩამონათვალში არ არის მოცემული, მაგრამ მოდის სრულად შესაბამისობაში 4.2. ღონისძიების მიზნებთან. <p>ქვე-ღონისძიება 4.3. ა. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება</p> <ul style="list-style-type: none"> • მცირე სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან მშენებლობა (საბავშვო ბაღები, სკოლები, ძირითადი ჯანდაცვის და სხვა ობიექტები), რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მოემსახურება; • საჭირო ტექნიკის შეძენა გაუმჯობესებული მომსახურების უზრუნველსაყოფად.
გრანტის მიმღები	4 საპილოტე რეგიონის მუნიციპალიტეტები

გეოგრაფიული დაფარვა	4 საპილოტე რეგიონის დასახლებები (სოფლები, ქალაქის ტიპის მცირე დასახლებები (დაბეები))
მოთხოვნილი დოკუმენტები	<p>სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტები:</p> <p>პირველ ეტაპი:</p> <ul style="list-style-type: none"> შევსებული საპროექტო იდეის განაცხადის ფორმა (იხილეთ ამ საკონკურსო პირობების დანართი №1); საკრებულოს განკარგულება პროექტის მოწონების შესახებ; <p>მეორე ეტაპი:</p> <ul style="list-style-type: none"> შევსებული საპროექტო წინადადების სრული განაცხადის ფორმა (იხილეთ ამ საკონკურსო პირობების დანართი №2 და №3); საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნით და საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტის ასლი; ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი
მოთხოვნილი მინიმალური თანადაფინანსება	1 %
მოთხოვნილი გრანტის მინიმალური მოცულობა (ლარი)	100,000 ლარი
მოთხოვნილი გრანტის მაქსიმალური მოცულობა (ლარი)	<p>2021 წელი:</p> <p>იმერეთი - 3,063,200.00 ლ კახეთი - 2,494,100.00 ლ გურია - 982,100.00 ლ რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 460,600.00 ლ</p> <p>2022 წლის გეგმა:</p> <p>იმერეთი - 21 975 401,45 ლ კახეთი - 17 892 677,19 ლ გურია - 7 045 586,89 ლ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 3 304 345,10 ლ</p> <p>მრავალწლიანი პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში დასაშვებია პროექტების მაქსიმალურმა ღირებულებამ შეადგინოს მომდევნო საბიუჯეტო წლის სრიგპ-ის საპროგნოზო მონაცემების ფარგლებში შესაბამისი რეგიონისთვის კონკრეტული პრიორიტეტისთვის/ღონისძიებისთვის გათვალისწინებული თანხა</p>
კონკურსის ფარგლებში გასაცემი გრანტების მთლიანი მოცულობა (ლარი)	2021 წ. - 7,000,000 2022 წ. - 50 218 010,63 ლ

შეფასება	პირველი ეტაპის, იხილეთ დანართი №4
	მეორე ეტაპის, იხილეთ დანართი №5

II. ზოგადი ინფორმაცია გამოცხადებული კონკურსის შესახებ

1. სამართლებრივი საფუძველი

კონკურსი გამოცხადებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილების „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ და 2020 წლის 27 მარტის № 200 დადგენილების „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.

2. ზოგადი ინფორმაცია

სრიგპ წარმოადგენს ევროკავშირის თანამედროვე მიდგომების მიხედვით შემუშავებულ ინტეგრირებულ რეგიონული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც ხორციელდება „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში საპილოტე რეგიონების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აგვისტოს №1713 განკარგულებით განსაზღვრულ 4 საპილოტე რეგიონში (შემდგომში – საპილოტე რეგიონები) და მიზნად ისახავს ხელსაყრელი გარემოს შექმნას და დაბალანსებულ მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივების საშუალებით.

აღნიშნული მიზნის რეალიზება მოხდება სხვადასხვა ტერიტორიებსა და სექტორებში განვითარების ფაქტორებში ინვესტიციით, რომელიც განხორციელდება ისეთი მიმართულებით, როგორცაა: წარმოება, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალისა და საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი. ინვესტიციის განხორციელება უნდა მოხდეს შერჩევითი გზით - ფინანსური დახმარება კონცენტრირებული იქნება იმ ტერიტორიებსა და სექტორებში, რომელთაც კონკრეტულ რეგიონებში პროდუქტიულობისა და დასაქმების დონის გაზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ. შეზღუდული რესურსებისა და განხორციელების ხანმოკლე პერიოდის გათვალისწინებით, სრიგპ კონცენტრირდება შეზღუდული რაოდენობით განსაზღვრულ, რეგიონის სპეციფიკური საჭიროებების გადაჭრასა და პოტენციალის ათვისებაზე.

სრიგპ ხელს შეუწყობს საქართველოს მასშტაბით წარმოების მოწინავე დარგებში ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრას, ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის განვითარებას, ექსპორტის გაზრდის მიზნით აქტივობების განსაზღვრა-შემუშავებას (მაგ. რეგიონში ახალი ნიშის მოძებნის გზით), ადგილობრივი რეწვისა და პროდუქციის შენარჩუნებას, აგრეთვე ინვესტიციების განხორციელებას განვითარების ისეთ ფაქტორებში, როგორცაა: ინფრასტრუქტურა, განათლება, უნარები, კვლევა-განვითარება და ინოვაცია, რომელთაც უდიდესი გავლენა აქვთ კონკრეტული

რეგიონების კონკურენტუნარიანობასა და მოსახლეობის შემოსავლებზე. გარდა ამისა საპილოტე რეგიონებში კვლავ წარმოადგენს საჭიროებას ინფრასტრუქტურული პროექტები შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ინვესტიციები სათანადო ინფრასტრუქტურისა და გაუმჯობესებული ხარისხის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, სრიგპ ითვალისწინებს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც მიზნად ისახავს გარკვეული განსახორციელებელი ამოცანების ადგილობრივ დონეზე ეტაპობრივ დელეგირებას, სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. საპილოტე პროგრამის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება გამოყენებული იქნება სხვა რეგიონების განვითარების პროგრამებში.

სრიგპ-ის ღონისძიებები კონცენტრირებული იქნება ხუთ შეთავაზებულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე:

1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე;
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა;
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება;
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება.

3. სრიგპ-ის პრიორიტეტი 4-ის და ღონისძიება 4.2-ის და 4.3. ის მიზანი

სრიგპ-ის პრიორიტეტი 4-ის ამოცანაა ახალი ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების მიზნით ტრადიციული ადგილობრივი პროდუქციის შენარჩუნება, ინფრასტრუქტურის განვითარება და ადგილობრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

პრიორიტეტი განხორციელდება სამი ღონისძიების მეშვეობით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის ურთიერთდაკავშირებულ აქტივობებს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების გაზრდისთვის:

- **ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა.** აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტრადიციული რეწვისა და პროდუქციის შენარჩუნებასა და გაყიდვას და შერჩეულ ტერიტორიებზე ადგილობრივ მოსახლეობას დაეხმარება ახალი სახის არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებაში, რაც მათ დამატებით შემოსავალს მოუტანს.
- **ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა.** აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ცხოვრების იმ ელემენტების მოდერნიზებასა და განვითარებას, რომლებიც აუცილებელია

რეგიონის მიმზიდველობის გაზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის, რაც მოიცავს წყალმომარაგებისა და სანიტარული მომსახურებით უზრუნველყოფას.

- ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა და მიწოდების გაუმჯობესება. აღნიშნული ღონისძიება მუნიციპალიტეტებს დაეხმარება, გააუმჯობესონ ადგილობრივი სერვისების ხარისხი სოციალური ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სერვისების დაფინანსების მეშვეობით, აგრეთვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) აპლიკაციებისა და გადაწყვეტილებების განხორციელების გზით.

ღონისძიება 4.2 - ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის - მიზანია ხელი შეუწყოს მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი ბიზნეს საქმიანობების ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის, ტურისტული პროდუქტებისა და შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით დაფინანსდება სხვადასხვა სახის ტექნიკური ინფრასტრუქტურა.

ღონისძიების განხორციელების მოსალოდნელი შედეგები:

- ბიზნესისთვის რეგიონის მიმზიდველობის ზრდა;
- ვიზიტორებისათვის რეგიონის მიმზიდველობის ზრდა;
- ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის მდგომარეობის გაუმჯობესება

გრძელვადიანი პერსპექტივით, აღნიშნული ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, საჯარო მომსახურების ხარისხის გაზრდას და რეგიონში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ღონისძიება 4.3 - „ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა და მიწოდების გაუმჯობესება“-ის მიზანია ადგილობრივი სოციალური ინფრასტრუქტურის და ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა (მათ შორის IT სერვისების) და მიწოდების გაუმჯობესება.

ღონისძიება განხორციელდება საპილოტე რეგიონების მუნიციპალიტეტებისა და სოფლების შეზღუდულ რაოდენობაში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეზღუდული აქვს ხელმისაწვდომობა საბაზისო ადგილობრივ - მომსახურებაზე, მაგალითად სკოლამდელი სერვისები, დაწყებითი განათლება, საბაზისო ჯანდაცვა და სხვა. ამ მხრივ ღონისძიების განხორციელება მჭიდროდ არის დაკავშირებული სრიგპ-ს სხვა ღონისძიებებთან, რომლებიც ხორციელდება მე-4 პრიორიტეტის ქვეშ: ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება.

მხარდაჭერა გაეწევათ მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც შეირჩევა ადგილობრივი ხელისუფლების, მოსახლეობის, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მე-4 პრიორიტეტის განხორციელების მიზნით შექმნილი ბიზნესების პარტნიორობის შედეგად.

მოსალოდნელი შედეგი:

- სამიზნე ტერიტორიებზე სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურების ხარისხის მიწოდებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი მოსახლეობისათვის ადგილობრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

(ქვე)ღონისძიება 4.2 ა და 4.3 ა მყისიერი შედეგების ინდიკატორები და მათი სამიზნეები.

<p>4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - ბიზნესთან ან სხვა ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება; - მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განახლება (რომლებიც მოქალაქეებსა და ტურისტებს ემსახურება, მათ შორის რეკრეაციული ზონების ორგანიზება/რეაბილიტაცია, ქუჩები, ტროტუარები, პარკირების ადგილები, შადრევნები, სკვერები, ძეგლები, ზავშეხებისთვის სპორტული მოედანი, სპორტული ობიექტები); - ბიზნესთან ან სხვა ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია; - ტურისტული ან სხვა სახის მომსახურებების შეთავაზების მიზნით საჯარო შენობება/ნაგებობების განახლება; - ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა; - ადგილობრივი გზების (და თანმხლები ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება, რაც ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს; - მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის უზრუნველყოფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზების გაყვანა/მონტაჟისთვის საჭირო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების, მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების, ღარების (სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია) მოწყობა; - საპროექტო განაცხადი შეგიძლიათ წარმოადგინოთ იმ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რომელიც მოცემულ ველში - პროექტის სახეობების ჩამონათვალში არ არის მოცემული, მაგრამ მოდის სრულად შესაბამისობაში 4.2. ღონისძიების მიზნებთან. 	<ul style="list-style-type: none"> - მხარდაჭერილი დასახლებების რაოდენობა - მხარდაჭერილი მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები; - შინამეურნეობების რაოდენობა რომელთაც გაუმჯობესებული წვდომა აქვთ წყლის და წყალარინების სისტემებზე - ახალი წყლის და წყალარინების მიწების სიგრძე; - გარემონტებული სახელმწიფო შენობების რაოდენობა - აშენებული/განახლებული ადგილობრივი გზების სიგრძე 	<p>12 36 6 კმ 4</p>	
<p>4.3 – ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა და მიწოდების გაუმჯობესება</p>	<p>ა – სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება</p>	<ul style="list-style-type: none"> - მცირე სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან მშენებლობა (საბავშვო ბაღები, სკოლები, ძირითადი ჯანდაცვის და სხვა ობიექტები), რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მოემსახურება; - საჭირო ტექნიკის შეძენა გაუმჯობესებული მომსახურების უზრუნველსაყოფად. 	<ul style="list-style-type: none"> - მხარდაჭერილი დასახლებების რაოდენობა - მხარდაჭერილი სოციალური ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა - პროექტების რაოდენობა საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, მოსახლეობისთვის მუნიციპალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 	<p>12 18 6</p>

სრიგპ-ის პრიორიტეტი 4-ის ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები პრიორიტეტებისთვის

ამოცანა	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო (2017)	სამიზნეები (2022 წლის ბოლო)
ახალი ეკონომიკური საქმიანობის	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობის 	მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების ზრდა 4 რეგიონში ¹	288.4	მინიმუმ 15%

¹ სტატისტიკური მონაცემები გურიის შესახებ გაერთიანებული საქსტატის კატეგორიაში „დანარჩენი რეგიონები“

სტიმულირების მიზნით ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და სერვისების მიწოდების გაუმჯობესება	<p>გაზრდილი შემოსავლები</p> <ul style="list-style-type: none"> • გაუმჯობესებული ცხოვრების დონე • ბიზნესის წარმოების გაზრდილი შესაძლებლობები 	შინამეურნეობების წილი, რომლებსაც წვდომა აქვთ სახლში შეყვანილ წყლის სისტემასთან, (%) 4 რეგიონის საშუალო	45.6	55
		აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა 4 რეგიონში	37945	მინიმუმ 10%

წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები თანხვედრაში უნდა იყოს ღონისძიებების მიზნებთან, ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტებთან.

4. დაფინანსება

კონკურსის ფარგლებში 2021 წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს 7 მილიონ ლარს, ხოლო 2022 წლის წინასწარი ბიუჯეტი შეადგენს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებული სრიგპ-ის წლიური სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ასიგნებების ოდენობას.

პროექტების დასაფინანსებლად, საპილოტე რეგიონების მიხედვით მაქსიმალური ბიუჯეტი შეადგენს:

რეგიონი	თანხის ოდენობა (ლარი) 2021	თანხის ოდენობა (ლარი) 2022	წილი %
იმერეთი	3,063,200.00 ლ	21 975 401,45 ლ	43.76%
კახეთი	2,494,100.00 ლ	17 892 677,19 ლ	35.63%
გურია	982,100.00 ლ	7 045 586,89 ლ	14.03%
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	460,600.00 ლ	3 304 345,10 ლ	6.58%
ჯამი	7,000,000.00 ლ	50 218 010,63 ლ	100%

III. ინფორმაცია გრანტის გაცემის შესახებ

1. გრანტის მიმღები

კონკურსის ფარგლებში გრანტის მიმღები შეიძლება იყოს 4 საპილოტე რეგიონის მუნიციპალიტეტები:

- თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი
- ჭიათურის მუნიციპალიტეტი
- ტყიბულის მუნიციპალიტეტი
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
- ბაღდათის მუნიციპალიტეტი
- ვანის მუნიციპალიტეტი
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
- თერჯოლის მუნიციპალიტეტი

- სამტრედიის მუნიციპალიტეტი
- საჩხერის მუნიციპალიტეტი
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
- ხონის მუნიციპალიტეტი
- ახმეტის მუნიციპალიტეტი
- გურჯაანის მუნიციპალიტეტი
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი
- თელავის მუნიციპალიტეტი
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
- სიღნაღის მუნიციპალიტეტი
- ყვარლის მუნიციპალიტეტი
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
- ლენტეხის მუნიციპალიტეტი
- ონის მუნიციპალიტეტი
- ცაგერის მუნიციპალიტეტი
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტები განაცხადებს წარადგენენ მხოლოდ იმ სახელმწიფო რწმუნებულის - რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს წარმდგენი მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს - ადმინისტრაციაში.

2. დასაფინანსებელი პროექტის ხარჯები

გრანტის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ყველა სახის ხარჯი, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი ხარჯებისა:

- სრული საპროექტო განაცხადის მომზადება, მათ შორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში, საექსპერტო შეფასების მომსახურება;
- ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტის მომზადება;
- შენობა-ნაგებობების შექმნა;

3. პროექტის ხანგრძლივობა

კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა დასრულდეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

4. პროექტის შეფასება და შერჩევა

პროექტის შეფასება და შერჩევა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად (იხ. ბმული -

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4838500?publication=0>) ამ საკონკურსო პირობების შესაბამისი დანართი N4 და N5 მიხედვით.

5. ხილვადობის ღონისძიებები

სრიგპ-ის ფარგლებში განხორციელებული პროექტების ობიექტებზე განთავსებული უნდა იყოს სრიგპ-ის ლოგო, საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით აღნიშვნა და მოკლე ინფორმაცია თანადაფინანსების თაობაზე. დაფინანსების მიმღებმა მხარემ ასევე უნდა შეასრულოს ვიზუალური გამოსახვის მეთოდური რეკომენდაციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6. ხარვეზის აღმოფხვრის და გასაჩივრების პროცედურა

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურის მიერ დანართი N3-ით (ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება) დადგენილ პირობებთან შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში, ხარვეზის გამოსასწორებლად განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. განსაზღვრული ვადის დარღვევის ან/და განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის არ გამოსწორების შემთხვევაში პროექტი არ განიხილება.

თუ დავის მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მხარეს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დავა განიხილოს სასამართლო წესით.

7. პროექტების მონიტორინგი და ანგარიშგება

სამინისტრო უზრუნველყოფს სრიგპ-ის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შესაბამისი კოორდინაციისა და მონიტორინგის განხორციელებას სრიგპ-ის ინდიკატორების საფუძველზე, უფლებამოსილების ფარგლებში. კოორდინაცია და მონიტორინგი განხორციელდება პერიოდულად, რომელიც შექმნის წლიური ანგარიშის შემუშავების საფუძველს.

გრანტის მიმღებები ვალდებული არიან შეავსონ მონიტორინგის და საინფორმაციო ფორმები.

დანართი 1. საპროექტო იდეის განაცხადის ფორმა

<p>საპროექტო იდეის სახელწოდება</p>	<p>მიუთითეთ წარმოდგენილი პროექტის მოკლე სახელწოდება მის შინაარსზე მითითებით</p> <p><<სახელწოდებამ ნათლად უნდა აჩვენოს საპროექტო იდეის/წინადადების შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან და სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიებასთან. თავი აარიდეთ განსაკუთრებული ტერმინების, იდიომებისა და აკრონიმების გამოყენებას.>></p>
<p>სრიგპ-სთან შესაბამისობა</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ სრიგპ-ს პრიორიტეტის და ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) დასახელება და ნომერი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია თქვენი საპროექტო იდეა, კერძოდ:</p> <p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 400 სიმბოლო.</p> <p><<თქვენი საპროექტო წინადადება, მისი სტრატეგიული და კონკრეტული მიზნები, მკაფიოდ უნდა აჩვენებდეს შესაბამისობას სრიგპ-ის მიზანთან/მიზნებთან, ღონისძიებასთან/ღონისძიებებთან და ქვე-ღონისძიებასთან/ქვე-ღონისძიებებთან. მიუთითეთ პრიორიტეტის ნომერი და სახელწოდება. მიუთითეთ სრიგპ-ის დასახელებული პრიორიტეტის ქვეშ შესაბამისი ღონისძიების ნომერი და სახელწოდება.>></p>
<p>საპროექტო იდეის წარმდგენი</p>	<p>მიუთითეთ საპროექტო იდეის ოფიციალური წარმდგენი</p> <p><<განმცხადებელი არის მუნიციპალიტეტი რომელიც დაფინანსებისთვის განაცხადით მიმართავს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს)></p> <p>ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი:</p> <p><< მოცემული კონკურსისთვის, პარტნიორი არიან ორგანიზაციები, სააგენტოები ან/და მუნიციპალიტეტები, რომლებსაც ფულადი კონტრიბუცია არ შეაქვთ პროექტში, ასევე არ მიიღებენ ფინანსურ და მატერიალურ სარგებელს პროექტისაგან.>></p> <p>გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის მისამართი:</p> <p><<გთხოვთ მიუთითოთ წარმდგენის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი>></p> <p>გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ. - ფოსტა:</p> <p><<გთხოვთ მიუთითოთ მოქმედი სამსახურეობრივი ელ. ფოსტა>></p>
<p>განხორციელების ადგილი</p>	<p>რეგიონი:</p> <p>მუნიციპალიტეტი:</p> <p>იმ ქალაქის/ები, სოფელის/ების ჩამონათვალი (თუ ერთზე მეტში ხორციელდება გააკეთეთ სრული ჩამონათვალი)</p>

<p>პროექტის მიზანი/მიზნები</p>	<p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო გთხოვთ, დააკონკრეტოთ პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნები <<როგორც წესი, მსგავს პროექტებს აქვს ორი ტიპის მიზანი:</p> <p>ა) სტრატეგიული მიზანი - ესაა პროექტის დაგეგმილი წვლილი სრიგპ-ისა და მუნიციპალურ/რეგიონულ დონეზე არსებულ შესაბამის დოკუმენტებში (მაგ. მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია, რეგიონის განვითარების სტრატეგია ა.შ.) მოცემული პრიორიტეტების მიღწევაში;</p> <p>პროექტს შესაძლოა ჰქონდეს 1-ზე მეტი სტრატეგიული მიზანი.</p> <p>ბ) კონკრეტული მიზანი - ეს არის იმ სასურველი გზის განსაზღვრა, რაც აუცილებელია პროექტში („პროექტის აღწერა/დასაბუთების“ ველში) მითითებული კონკრეტული პრობლემის წარმატებით გადაჭრისთვის.</p> <p>როგორც წესი, პროექტს აქვს ერთი კონკრეტული მიზანი.</p> <p>რეკომენდირებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნების, მათი შედეგების, ინდიკატორების და ვარაუდების/რისკების სწორი და ეფექტური ფორმულირებისთვის>></p>
<p>მოსალოდნელი შედეგები</p>	<p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო</p> <p>ჩამოთვალეთ მოსალოდნელი შედეგები ორ ტიპად, შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებს.</p> <p><<შედეგი არის ის, რასაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. მიუთითეთ კავშირი სრიგპ-ის შესაბამისი ღონისძიების/ქვეღონისძიების, ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2. <p>ა) გრძელვადიანი შედეგი (საბოლოო შედეგები) არის ცვლილება, რომელიც პროექტს მოაქვს საბოლოო ბენეფიციარებისთვის პროექტის დასასრულს და ამ ცვლილებას აქვს პოტენციალი, განჭვრეტად მომავალში დადებითი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე.</p> <p>ბ) კონკრეტული შედეგი (მყისიერი შედეგი) არის პროექტის განხორციელების პროცესში ან პროექტის ბოლოს მიღებული პროდუქტი/ინფრასტრუქტურა/ცოდნა და იგი ემსახურება გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.</p> <p>გრძელვადიანი და კონკრეტული შედეგების ფორმულირებისას, უნდა გქონდეთ ნათელი წარმოდგენა ინდიკატორებზე, რომლებიც ამ შედეგების მიღწევის დონის გასაზომად იქნება გამოყენებული. შესაბამისად, შედეგები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი, დროში განსაზღვრული. ლოგიკური ჩარჩო პროექტის შედეგების სწორად ფორმულირების კარგი ინსტრუმენტია>></p>
<p>საპროექტო აღწერა/დასაბუთება</p>	<p>გთხოვთ, დაასაბუთოთ თუ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი. დაასახელოთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, ან პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. გთხოვთ, მაქსიმალური მითითება გააკეთოთ არსებულ რეგიონების განვითარების სტრატეგიებზე, ადგილობრივი განვითარების ეკონომიკურ გეგმებზე, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებზე ან პირდაპირ-სრიგპ-ში მოცემული შესაბამისი ღონისძიების აღწერაზე:</p> <p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,900 სიმბოლო.</p> <p><< აღწერეთ, რატომ არის ეს პრობლემა მნიშვნელოვანი. რომელ ჯგუფებზე აქვს ყველაზე დიდი გავლენა მოცემულ პრობლემას და როგორია ეს გავლენა</p> <p>მოკლედ აღწერეთ პროექტი, ხაზი გაუსვით მის სოციალურ-ეკონომიკურ როლსა და ადგილობრივ/ რეგიონულ გავლენას. მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების</p>

	<p>გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი.</p> <p>მიუთითეთ, როგორ მოუტანს თქვენი პროექტი სარგებელს ბენეფიციარებს, სამიზნე ჯგუფებს ადგილობრივ, რეგიონულ დონეზე. ახსენით, რა ცვლილებას განახორციელებს თქვენი პროექტი. გთხოვთ დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს მოცემული პროექტი.</p> <p>იმ შემთხვევაში თუ თქვენი პროექტი მიმართულია ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერისკენ (მაგ. ხალხური რეწვის პროდუქციის სავაჭრო ადგილები), მოგვარდოთ ინფორმაცია ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შესახებ, დაასაბუთოთ გადაწყვეტილი თუ არა მიზნობრივი ჯგუფის და მუნიციპალიტეტის მოსალოდნელი სარგებელი დანახარჯებს >></p>
<p>ძირითადი აქტივობები</p>	<p>გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ჩამოთვალოთ ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:</p> <p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 5,000 სიმბოლო</p> <p>გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:</p> <p><<მოცემული ველი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აქტივობებზე, რომლებიც განხორციელდება პროექტის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. მოცემული ველი უნდა აღწერდეს პროექტის მოსამზადებელ ეტაპებს/სამუშაოებს, მოსახლეობასთან კონსულტაციას, საპროექტო დოკუმენტების წინასწარ შეფასებას, ტენდერებს და კონკურსებს, პროექტის მენეჯმენტს, ტექნიკურ სამუშაოებს, ზედამხედველობას, ანგარიშგებას და ა.შ. აღნიშნულ ველში მითითებული ყველა აქტივობა სათანადოდ უნდა იყოს ასახული პროექტის ბიუჯეტში და დროის განრიგში. წარმოადგინეთ პროექტის მიზნების მისაღწევად საჭირო აქტივობათა დეტალური აღწერა. წარმოადგინეთ, როგორ იქნება სამუშაოები განაწილებული პროექტის განმახორციელებელ დაწესებულებებს/ორგანიზაციებს შორის>></p>
<p>პროგრამისთვის/ ღონისძიებისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებში პროექტის მონაწილეობის (წვლილის) დონე</p>	<p>გთხოვთ, აღწეროთ თუ როგორ უწყობს ხელს პროექტი პროგრამის/ღონისძიებისთვის დადგენილი კონკრეტული ინდიკატორების მიღწევას:</p> <p>თუ თქვენი პროექტი არის ინფრასტრუქტურული ან მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერას, მიუთითეთ დასაქმებულთა რაოდენობის საპროგნოზო ზრდა %-ში, . (დაასახელოთ დამოწმების წყაროები)</p>
<p>ურთიერთშევესებადობა</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ, ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.</p> <p>გთხოვთ, აღწეროთ, არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა პროექტებთან ან არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. თუ ეს ასეა, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:</p>
<p>პროექტის მდგრადობა</p>	<p>გთხოვთ, დაასახელოთ ვინ აანაზღაურებს საექსპლუატაციო და მიმდინარე ხარჯებს პროექტის დასრულების შემდგომ? გთხოვთ, დაასახელოთ დამფინანსებელი დაწესებულება ან/და დაფინანსების წყარო (ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):</p>

	<p>აღწერეთ როგორ იქნება შენარჩუნებული პროექტის საბოლოო შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ და ვინ/რომელი დაწესებულება/ორგანიზაცია იქნება საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელი.</p> <p><<დაწესებულება/ორგანიზაცია პასუხისმგებელია უზრუნველყოს პროექტის მდგრადობა შესაბამისი რესურსების გამოყენებით. დაწესებულება/ორგანიზაცია ვალდებულია კერძო სექტორის, გარე რესურსების მოზიდვით უზრუნველყოს მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სამუშაოები.>></p> <p>ეკონომიკური ან სოციალური პროფილის პროექტის შემთხვევაში აღწერეთ, როგორ იქნება უზრუნველყოფილი პროექტის მიერ წამოწყებული/მხარდაჭერილი საქმიანობის/პრაქტიკის/პროდუქტის დაფინანსება პროექტის დასრულების შემდეგ.</p>
პროექტის იდეის მომზადების სტატუსი	გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. განსაკუთრებით, გთხოვთ მიუთითოთ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უკვე მომზადებულია თუ არა, ბიუჯეტი გამოყოფილია თუ არა და ა.შ.
მოთხოვნილი მხარდაჭერა	გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მოსალოდნელი ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნის შესახებ:
ვადები	გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელების საორიენტაციო დრო (თვეებში):
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი	<p>გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის ღირებულება (ლარში), დაფინანსების წყაროები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სრიგპ-დან მოთხოვნილი გრანტის მინიმალური ოდენობა (პროცენტით):</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სრიგპ – 2. პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები – 3. საკუთარი თანადაფინანსება – 4. სხვა წყაროები – 5. მთლიანი ბიუჯეტი –
პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი და საკონტაქტო მონაცემები	გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელ. - ფოსტა):

დანართი 2. საპროექტო წინადადებების სრული განაცხადის ფორმა

1. ზოგადი ინფორმაცია

საპროექტო წინადადების სახელწოდება	<p>შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მოკლე სახელწოდება, მის შინაარსზე მითითებით:</p> <p><<სახელწოდებამ ნათლად უნდა აჩვენოს საპროექტო იდეის/წინადადების შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან და სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიებასთან. თავი აარიდეთ განსაკუთრებული ტერმინების, იდიომების და აკრონიმების გამოყენებას.>></p>
სრიგპ-თან შესაბამისობა	<p>გთხოვთ, მიუთითოთ სრიგპ-ს პრიორიტეტის და ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) დასახელება და ნომერი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია თქვენი პროექტი :</p> <p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 400 სიმბოლო.</p> <p>მიუთითეთ სრიგპ-ის იმ პრიორიტეტისა და ღონისძიების (ქვეღონისძიების) ნომერი, რომლის ფარგლებშიც არის წარმოდგენილი თქვენი პროექტი:</p> <p><<თქვენი საპროექტო წინადადება მისი სტრატეგიული და კონკრეტული მიზნები, მკაფიოდ უნდა აჩვენებდეს შესაბამისობას სრიგპ-ის მიზანთან/მიზნებთან,>></p>

	<p>ღონისძიებასთან/ღონისძიებებთან და ქვე-ღონისძიებასთან/ქვე-ღონისძიებებთან. მიუთითეთ პრიორიტეტის ნომერი და სახელწოდება. მიუთითეთ სრიგპ-ის დასახელებული პრიორიტეტის ქვეშ შესაბამისი ღონისძიების ნომერი და სახელწოდება.>></p>
<p>საპროექტო წინადადების წარმდგენი</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენი: <<განმცხადებელი არის მუნიციპალიტეტი, რომელიც დაფინანსებისთვის განაცხადით მიმართავს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს საპროექტო წინადადების წარმდგენით შესაბამის >></p> <p>ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი: << მოცემული კონკურსისთვის, პარტნიორი არიან ორგანიზაციები, სააგენტოები ან/და მუნიციპალიტეტები, რომლებსაც ფულადი კონტრიბუცია არ შეეძქვთ პროექტში, ასევე არ მიიღებენ ფინანსურ და მატერიალურ სარგებელს პროექტისაგან.>></p> <p>გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის მისამართი: <<გთხოვთ მიუთითოთ წარმდგენის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი>></p> <p>გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ.ფოსტა: <<გთხოვთ მიუთითოთ მოქმედი სამსახურეობრივი ელ. ფოსტა>></p>
<p>პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია</p>	<p>სახელი და გვარი:</p> <p>თანამდებობა:</p> <p>ტელეფონის ნომერი: გთხოვთ მიუთითოთ სამსახურეობრივი ტელეფონის ნომერი</p> <p>ელ.ფოსტა: <<გთხოვთ მიუთითოთ მოქმედი სამსახურეობრივი ელ. ფოსტა>></p>
<p>განხორციელების ადგილი</p>	<p>რეგიონი:</p> <p>მუნიციპალიტეტი:</p> <p>ქალაქი, დაბა, სოფელი: <<თუ ერთზე მეტში ხორციელდება გააკეთეთ სრული ჩამონათვალი>></p>
<p>სამიზნე ჯგუფი/ ბენეფიციარები</p>	<p>გთხოვთ განსაზღვრეთ პროექტის სამიზნე ჯგუფი/საბოლოო ბენეფიციარები (სამიზნე ჯგუფები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც იქნებიან პროექტის მყისიერი შედეგის პირდაპირი მიმღებნი. პროექტის სამიზნე ჯგუფების ჩამოთვლისას, გთხოვთ მიუთითოთ რაოდენობრივი მახასიათებლები): ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 900 სიმბოლო.</p> <p>აღწერეთ პროექტის საბოლოო ბენეფიციარები, მათ შორის საბოლოო ბენეფიციართა მთლიანი რაოდენობა</p> <p><<საბოლოო ბენეფიციარები არიან ორგანიზაციები/ადამიანები რომლებიც სარგებელს ნახავენ გრძელვადიან პერიოდში საზოგადოების ან სექტორის დონეზე, მაგალითად, პროექტის შედეგად გაიზარდა საჯარო ადმინისტრაციის სერვისების ეფექტურობა, შესაბამისად სარგებელს ნახავს სერვისის მომხმარებელი ადგილობრივი მოსახლეობა და ბიზნესი.>></p>

	<p><<სამიზნე ჯგუფები არიან პროექტის მყისიერი შედეგის პირდაპირი მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირები. პროექტის სამიზნე ჯგუფების ჩამოთვლისას, გთხოვთ მიუთითოთ რაოდენობრივი მახასიათებლები, მაგალითად - 12 მცირე ადგილობრივი საოჯახო სასტუმრო და 21 მცირე მაღაზია, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 50 საოჯახო სასტუმროს მფლობელი, მათ შორის 18 ქალი. ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის სამიზნე ჯგუფი შესაძლოა უფრო ფართომასშტაბიანი იყოს, მაგალითად - გზის მშენებლობის პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ამ დასახლების 4 ათასი მაცხოვრებელი, მათ შორის 30 ადგილობრივი მეღვინეობისა და 10 ადგილობრივი რესტორნის მფლობელი>></p>
<p>პროექტის მთლიანი ბიუჯეტი</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ განსახორციელებლად შემოთავაზებული პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული ღირებულება:</p>
<p>თანადაფინანსების ოდენობა</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის ღირებულების საკუთარი რესურსებიდან თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი (მოთხოვნილი თანადაფინანსება აღნიშნულ კონკურსში სიმბოლურია, თუმცა განმცხადებლისა და თანაგანმცხადებლების მხრიდან ფინანსური კონტრიბუციის შემთხვევაში პროექტი მიიღებს დამატებით ქულებს, ტექნიკური ქულების მინიჭების ფორმის შესაბამისად.</p> <p>საკუთარი რესურსები არის ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების სახით მიღებული ფინანსური სახსრები, როგორც ეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლის 1-ლი ნაწილითაა განსაზღვრული):</p>
<p>პროექტის განხორციელების დრო</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელების დრო (თვეების რაოდენობა):</p>
	<p>გთხოვთ მიუთითოთ განხორციელების დაწყების დაგეგმილი თარიღი (სამუშაოების ან მომსახურებების შესახებ კონტრაქტის ხელმოწერიდან):</p>
	<p>გთხოვთ მიუთითოთ განხორციელების დასრულების დაგეგმილი თარიღი (მიღება-ჩაბარების აქტი):</p>

2. პროექტის აღწერა და დასაბუთება

<p>პროექტის მიზანი/მიზნები</p>	<p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო</p> <p>გთხოვთ, დააკონკრეტოთ პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნები</p> <p><<როგორც წესი, მსგავს პროექტებს აქვს ორი ტიპის მიზანი:</p> <p>ა) სტრატეგიული მიზანი - ესაა პროექტის დაგეგმილი წვლილი სრიგპ-ისა და მუნიციპალურ/რეგიონულ დონეზე არსებულ შესაბამის დოკუმენტებში (მაგ. მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია, რეგიონის განვითარების სტრატეგია ა.შ.) მოცემული პრიორიტეტების მიღწევაში;</p> <p>პროექტს შესაძლოა ჰქონდეს 1-ზე მეტი სტრატეგიული მიზანი.</p> <p>ბ) კონკრეტული მიზანი - ეს არის იმ სასურველი გზის განსაზღვრა, რაც აუცილებელია პროექტში („პროექტის აღწერა/დასაბუთების“ ველში) მითითებული კონკრეტული პრობლემის წარმატებით გადაჭრისთვის.</p> <p>როგორც წესი, პროექტს აქვს ერთი კონკრეტული მიზანი.</p>
---------------------------------------	---

	<p>რეკომენდირებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნების, მათი შედეგების, ინდიკატორების და ვარაუდების/რისკების სწორი და ეფექტური ფორმულირებისთვის>></p>
<p>მოსალოდნელი შედეგები</p>	<p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო</p> <p>ჩამოთვალეთ მოსალოდნელი შედეგები ორ ტიპად, შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებს.</p> <p><<შედეგი არის ის, რასაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. მიუთითეთ კავშირი სრიპგ-ის შესაბამისი ღონისძიების/ქვეღონისძიების, ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2. <p>ა) გრძელვადიანი შედეგი (საბოლოო შედეგები) არის ცვლილება, რომელიც პროექტს მოაქვს საბოლოო ბენეფიციარებისთვის პროექტის დასასრულს და ამ ცვლილებას აქვს პოტენციალი, განჭვრეტად მომავალში დადებითი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე.</p> <p>ბ) კონკრეტული შედეგი (მყისიერი შედეგი) არის პროექტის განხორციელების პროცესში ან პროექტის ბოლოს მიღებული პროდუქტი/ინფრასტრუქტურა/ცოდნა და იგი ემსახურება გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.</p> <p>გრძელვადიანი და კონკრეტული შედეგების ფორმულირებისას, უნდა გკონდეთ ნათელი წარმოდგენა ინდიკატორებზე, რომელიც ამ შედეგების მიღწევის დონის გასაზომად იქნება გამოყენებული. შესაბამისად, შედეგები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი, დროში განსაზღვრული. ლოგიკური ჩარჩო პროექტის შედეგების სწორად ფორმულირების კარგი ინსტრუმენტია>></p>
<p>პროექტის აღწერა / დასაბუთება</p>	<p>გთხოვთ, წარმოადგინოთ პროექტის აღწერილობა, მის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე და მის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ მასშტაბით ზეგავლენაზე აქცენტის გაკეთებით. ამ თავის შევსებისას მიჰყევით ქვემოთ მოცემულ სტრუქტურას</p> <p>1. პრობლემის ანალიზი - ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 5,000 სიმბოლო</p> <p>გამოკვეთეთ (მოახდინეთ ზუსტი ფორმულირება) აღწერეთ ის პრობლემა (ები) რომელის გადაჭრასაც ისახავს მიზნად თქვენი პროექტი.</p> <p><<აღწერეთ, რატომ არის ეს პრობლემა მნიშვნელოვანი. რომელ ჯგუფებზე აქვს ყველაზე დიდი გავლენა მოცემულ პრობლემას და როგორია ამ პრობლემის ეკონომიკური, სოციალური და /ან კულტურული გავლენა. იყო თუ არა ადრე ამ პრობლემის მოგვარების მცდელობა და როგორი შედეგი დადგა >></p> <p>2. პროექტის დასაბუთება- ახსენით პროექტის მიზნები და ამოცანები.</p> <p><<განმარტეთ, როგორ აპირებთ ზემოთმოყვანილი პრობლემის/ების გადაჭრას თვენი პროექტის მეშვეობით. რა როლს ითამაშებს ამ პრობლემის გადაჭრა თქვენი პროექტის სტრატეგიული მიზნის მიღწევაში? რა კონკრეტული ამოცანების შესრულებას გეგმავთ მითითებული პრობლემის(ების) აღმოფხვრისთვის? კონკრეტულად, როგორ იქნება პრობლემა მოგვარებული ან როგორ გაუმჯობესდება მდგომარეობა</p>

	<p>პროექტის შედეგად, აღწერეთ რა წვლილს შეიტანს მოცემული პროექტი სრიგპ-ის ღონისძიებების განხორციელებაში >></p> <p>3. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი - თუ თვენი პროექტი ხელს უწყობს ეკონომიკურ საქმიანობას მაშინ ახსენით პროექტის სარგებლის პროპორციულობა პროექტის დანახარჯებთან.</p> <p><<ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი განსაზღვრავს გადაწონის თუ არა სარგებელი დანახარჯებს და გვიჩვენებს არის თუ არა პროექტი მიზანშეწონილი და რეალისტური>></p> <p>4. განმახორციელებელი ორგანიზაციის (ების) კვალიფიკაცია - დაასაბუთეთ, რომ თქვენს ორგანიზაციას წარმატებით შეუძლია ამ პროექტის მართვა და გამოყოფილი სახსრებით ამ პრობლემის დროული და წარმატებული მოგვარება. მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება ამ პროექტის მართვა და დაგეგმილ სამუშაოთა მონიტორინგი. მოგვაწოდეთ მოკლე ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის მიერ გასული 3 წლის პერიოდში შესრულებულ ანალოგიური პროექტების შესახებ.</p>
<p>ძირითადი აქტივობები</p>	<p>გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს: (აღნიშნულ ველში მითითებული ყველა აქტივობა ასახული უნდა იყოს დანართი 2 – „აქტივობების ბიუჯეტი და დროის განრიგი“-ში)</p> <p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 5,000 სიმბოლო</p> <p>გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:</p> <p><<მოცემული ველი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აქტივობებზე (სამუშაოებზე), რომლებიც განხორციელდება პროექტის ფარგლებში. მოცემული ველი უნდა აღწერდეს პროექტის მოსამზადებელ ეტაპებს/სამუშაოებს, მოსახლეობასთან კონსულტაციას, საპროექტო დოკუმენტების წინასწარ შეფასებას, ტენდერებს და კონკურსებს, პროექტის მენეჯმენტს, ტექნიკურ სამუშაოებს, ზედამხედველობას, ანგრიშვებას და ა.შ. აღნიშნულ ველში მითითებული ყველა აქტივობა სათანადოდ უნდა იყოს ასახული პროექტის ბიუჯეტში და დროის განრიგში. წარმოადგინეთ პროექტის მიზნების მისაღწევად საჭირო აქტივობათა დეტალური აღწერა. წარმოადგინეთ, როგორ იქნება სამუშაოები განაწილებული პროექტის განმახორციელებელ დაწესებულებებს/ორგანიზაციებს შორის>></p>
<p>ინდიკატორები და მიზნები</p>	<p>გთხოვთ, განსაზღვროთ ზუსტი ინდიკატორები და მათი შესაბამისი სამიზნეები, იმ ინდიკატორებზე და სამიზნეებზე მითითებით, რომლებიც გამოყენებულია სრიგპ-ს შესაბამისი ღონისძიების ფარგლებში:</p> <p>საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი: (ველი უნდა მოიცავდეს საბოლოო შედეგის ინდიკატორებს, რომელიც მიმართული იქნება პროექტის საბოლოო შედეგებზე და უნდა ზომავდეს მათ შესაბამისობას სრიგპ-ის მიზნებთან და პრიორიტეტებთან. აგრეთვე, აღნიშნული ინდიკატორები უნდა ადასტურებდეს პროექტის წარმატებას დაგეგმილი შედეგების მიღწევაში ნათლად ჩამოყალიბებული სამიზნე ნიშნულების გამოყენებით, რომლებიც, როგორც წესი, მოცემულია პროცენტული მაჩვენებლის ან აბსოლუტური რიცხვების სახით)</p>

	<p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო</p> <p>აღწერეთ, როგორ დაეხმარება თქვენი პროექტი სრიგპ-ის მიზნების მიღწევას და რა წვლილს შეიტანს საქართველოს ტერიტორიულ განვითარებაში</p> <p><<მიუთითეთ სრიგპ-ის შესაბამისი ღონისძიების/ქვეღონისძიების ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებთან კავშირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)>></p> <hr/> <p>მცისიერი შედეგის ინდიკატორ(ებ)ი: (ველი უნდა მოიცავდეს მცისიერი შედეგის ინდიკატორებს, რომლებიც მიმართული იქნება პროექტის ხელშესახებ პროდუქტებზე (მყარი ინფრასტრუქტურა კილომეტრებში/ერთეულებში, სახელმძღვანელო, სასწავლო სესია, გადამზადებულ ადამიანთა რიცხვი, სამუშაო შეხვედრათა რაოდენობა, ახალი ბიზნესი, და ა.შ.) და უპასუხებს პროექტის კონკრეტულ მიზანს. აღნიშნული ინდიკატორი ადასტურებს პროექტის პროდუქტის შესაბამისობას მის დაგეგმილ რაოდენობასა და ხარისხთან)</p> <p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო</p> <p>ჩამოთვალეთ მცისიერი შედეგები</p> <p><<მცისიერი შედეგი არის პროექტის განხორციელების პროცესში ან პროექტის ბოლოს მიღებული პროდუქტი/ინფრასტრუქტურა/ცოდნა და იგი ემსახურება გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.>></p>
<p>სხვა პროექტებთან ურთიერთშეთავსებადობა</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას. ამ ველის შევსებისას მიჰყევით ქვემოთ მოცემულ სტრუქტურას</p> <p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 900 სიმბოლო</p> <p>1. ინფორმაცია პროექტის სრიგპ-სთან ინტეგრირებულობის შესახებ</p> <p>გთხოვთ, აღწეროთ არის თუ არა პროექტი ინტეგრირებული სრიგპ-ს სხვა ღონისძიებებთან - ანუ დაკავშირებულია თუ არა სხვა პროექტებთან, ან არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:</p> <p>2. ინფორმაცია სხვა პროექტებთან კოორდინაციის და/ან თავსებადობის შესახებ</p> <p><<თუ ეს პროექტი ან მისი ნაწილი არის სრიგპ-ს გარდა ნებისმიერი სხვა წყაროდან (მათ შორის, მუნიციპალური ბიუჯეტიდან) დაფინანსებული აქტივობების გაგრძელება, ან წარმოადგენს უფრო დიდი პროექტის ნაწილს, მაშინ ამ ველში ჩამოთვალეთ ორგანიზაციები/დაწესებულებები (მაგალითად, საერთაშორისო დონორი, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, ბიზნესი) რომელმაც გამოყო დაფინანსება და მიუთითეთ დაფინანსების ოდენობა. ასევე, თუ თქვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს (ან დასრულდა, ან დაგეგმილია) ანალოგიური პროექტი რომელსაც არა აქვს კავშირი წარმოდგენილ საპროექტო განაცხადთან, მოგვაწოდეთ მოკლე ინფორმაცია ამ პროექტზე, დაფინანსების წყაროზე და ახსენოთ როგორ მოახდენთ კოორდინაციას ამ პროექტთან, რა იქნება თვენი ერთობლივი შედეგი>></p>

<p>პროექტის მდგრადობა</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების წყარო(ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):</p> <p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 1,200 სიმბოლო</p> <p>გთხოვთ, აღწერეთ როგორ იქნება შენარჩუნებული პროექტის საბოლოო შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ და ვინ/რომელი დაწესებულება/ორგანიზაცია იქნება საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელი.</p> <p><<დაწესებულება/ორგანიზაცია პასუხისმგებელია უზრუნველყოს პროექტის მდგრადობა შესაბამისი რესურსების გამოყენებით. დაწესებულება/ორგანიზაცია ვალდებულია კერძო სექტორის, გარე რესურსების მოზიდვით უზრუნველყოს მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სამუშაოები.>></p>

3. განხორციელება და დაფინანსება

<p>პროექტის მომზადების სტატუსი</p>	<p>გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. გთხოვთ, მიუთითოთ მომზადებულია თუ არა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნა</p> <p>(აღნიშნული ველის შევსებამდე დარწმუნდით, რომ გაქვთ: ა) პროექტის ტექნიკური გეგმა (მყარი ინფრასტრუქტურული პროექტის შემთხვევაში); ბ) დეტალურად ჩაშლილი ბიუჯეტი; გ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევა (საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ შემთხვევაში) დ) ექსპერტის ოფიციალური დასკვნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესახებ (თუ მოთხოვნილია); ე) მოსახლეობასთან და დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრის ჩანაწერები.</p> <p>მოკლედ აღწერეთ ზემოხსენებული დოკუმენტების შინაარსი და მიუთითეთ ინფორმაცია მათი შემუშავების პროცესზე.</p> <p>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ)</p> <p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 600 სიმბოლო (დანართების გამოკლებით)</p> <p>მიუთითეთ, მზად არის თუ არა პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია და არსებობს თუ არა პროექტის განხორციელების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონების და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე:</p> <p><<საპროექტო განაცხადზე საკრებულოს პოზიცია უნდა დადასტურდეს მუნიციპალური საკრებულოს შესაბამისი აქტით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება საჭიროა იმ შემთხვევაშიც, როცა მუნიციპალური წყაროებიდან არ ხდება თანადაფინანსება.</p> <p>პროექტთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების ნუსხა (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნით, საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტის ასლი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება მოწონების თაობაზე).</p>
------------------------------------	--

	<p>განაცხადის ფორმას თან დაურთეთ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და ჩამოთვალეთ მოცემულ ველში. მაგალითად, დანართი 1 - საპროექტო დოკუმენტი></p> <p>გთხოვთ, მიუთითოთ არსებობს თუ არა პროექტის განხორციელების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონების და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე:</p> <p>პროექტთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების ნუსხა (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნით, საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტის ასლი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება მოწონების თაობაზე, მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი, ა.შ.): განაცხადის ფორმას თან დაურთეთ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და ჩამოთვალეთ მოცემულ ველში. (მაგალითად, დანართი X - საპროექტო დოკუმენტი, დანართი X - თანხმობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან)</p>
<p>დროის განრიგი</p>	<p>გთხოვთ მიუთითოთ პროექტი ერთწლიანია თუ მრავალწლიანი:</p> <p>გთხოვთ მიუთითოთ კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმების დაგეგმილი თარიღი (თვე):</p> <p>გთხოვთ მიუთითოთ პროექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი:</p> <p>გთხოვთ, დანართ 2-ში წარმოადგინოთ განხორციელების დეტალური გეგმა აქტივობების დონეზე (განტის დიაგრამა):</p>
<p>პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი (ლარი)</p>	<p>გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი თანადაფინანსება. არის თუ არა ეს ფინანსური სახსრები უკვე გამოყოფილი გრანტის მიმღების ბიუჯეტში? გთხოვთ, შეავსოთ დანართი 2 - აქტივობების ბიუჯეტი:</p> <p>პროექტის მთლიანი ღირებულება:</p> <p>მოთხოვნილი გრანტის მთლიანი ღირებულება:</p> <p>თანადაფინანსების ოდენობა:</p> <p>სხვა წყაროებიდან დაფინანსების ოდენობა:</p>
<p>ხარჯების კატეგორიები</p>	<p>გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია დანახარჯების კატეგორიების შესახებ, დანართი N3 (აქტივობების ბიუჯეტი და დროის განრიგი) გამოყენებით:</p>
<p>რისკების მართვა</p>	<p>გთხოვთ, აღწეროთ ის პოტენციური შიდა და გარე რისკები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ პროექტის განხორციელებაზე:</p>

	რისკები	მოსალოდნელობა (დაბალი, საშუალო, მაღალი)	რისკის შემცირების სტრატეგიები
	შიდა		
	გარე		

4. კულტურულ, გარემოსდაცვითი და სოციალურ პრინციპებთან შესაბამისობა

<p>შესაბამისობა ანტი დისკრიმინაციულ პრინციპთან</p>	<p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 900 სიმბოლო</p> <p>გთხოვთ, აღწეროთ, რა ზემოქმედება ექნება პროექტს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და გენდერულ ჯგუფებში თანასწორ მოპყრობაზე: (დაასაბუთეთ თქვენი პროექტის შესაბამისობა ანტი-დისკრიმინაციულ პრინციპთან. ჩამოთვალეთ პროექტის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და თანასწორობას. (მაგალითად, შშმ პირებზე, ხანდაზმულებზე ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, და ა.შ.))</p> <p>გთხოვთ, აღწეროთ, რა ზემოქმედება ექნება პროექტს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და გენდერულ ჯგუფებში თანასწორ მოპყრობაზე:</p>
<p>გარემოზე ზემოქმედება</p>	<p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 900 სიმბოლო (დანართების გამოკლებით)</p> <p>გთხოვთ, აღწეროთ, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტის განხორციელება გარემოზე:</p> <p><დეტალურად აღწერეთ პროექტის გარემოზე ზემოქმედება და ახსენით, როგორ აპირებთ უარყოფითი ზემოქმედების მინიმალიზებას (მაგალითად, ხეების დარგვით, ნაგვის ურნების განთავსებით, და ა.შ.). განაცხადის ფორმას თან დაურთეთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი (საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ შემთხვევებში)></p>
<p>პარტნიორობის პრინციპის განხორციელება</p>	<p>ტექსტის მაქსიმალური მოცულობა უნდა იყოს 900 სიმბოლო</p> <p>გთხოვთ, აღწეროთ პროექტის ფარგლებში როგორ იქნება უზრუნველყოფილი სოციალური პარტნიორობის პრინციპის განხორციელება, როგორ არიან პარტნიორები ჩართულნი პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში:</p> <p><ამ შემთხვევაში, სოციალური პარტნიორობის პრინციპში იგულისხმება მონაწილეობითი მიდგომა. მოცემული უნდა იყოს, მაგალითად, ინფორმაცია პროექტის განაცხადზე გამართული საჯარო სხდომების თაობაზე თარიღის და მონაწილეთა რაოდენობის მითითებით, შეხვედრები ადგილობრივ აქტორებთან (მაგ., ბიზნეს თემთან), და ა.შ. გთხოვთ აღწერეთ, რომელი პარტნიორები იყვნენ</p>

	ჩართულნი პროექტის შემუშავების პროცესში. პარტნიორები უნდა შეირჩეს პროექტის შინაარსის მიხედვით, მაგალითად, პროექტში, რომელსაც სარგებელი მოაქვს ადგილობრივი თემებისთვის, მუნიციპალიტეტი შესაძლოა თანამშრომლობდეს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სამეზობლო ამხანაგობებთან და ა.შ.>
--	---

თარიღი:

ხელმოწერა (მთავარი) განმცხადებლის სახელით:

დანართი 4. შეფასების კრიტერიუმები

შენიშვნა: წარმოდგენილია ზოგადი (უნივერსალური) შეფასების კრიტერიუმები. საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიას შეუძლია ის შეცვალოს მოგვიანებით, კონკრეტული კონკურსის სპეციფიკისა და ღონისძიების შინაარსის გათვალისწინებით. კონკურსი მოიცავს შემდეგი სახის შემოწმებებს: ადმინისტრაციული, უფლებამოსილების შემოწმება, შესაბამისობის შემოწმება (კი/ არა) და ტექნიკური ქულა (0–დან 5–მდე). მხოლოდ ტექნიკური შეფასების ქულა იძლევა პროექტზე გრანტის გამოყოფის საფუძველს.

ქულების მინიჭების ტექნიკური სახელმძღვანელო (შეფასების კრიტერიუმები) / ქულების მინიჭების პრინციპები:

- 0 = მიუღებელი ან იმ შემთხვევაში, როცა დოკუმენტური მტკიცებულება ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს ან ვერ ხერხდება მისი შეფასება ინფორმაციის არარსებობის ან არასრული ინფორმაციის გამო.
- 1 = ძალიან ცუდი, იმ შემთხვევაში, როდესაც კრიტერიუმი არასათანადოდ სრულდება ანუ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები.
- 2 = ცუდი, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულებები მხოლოდ ზოგადად შეესაბამება კრიტერიუმს, ანუ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები ან/და რისკები.
- 3 = სათანადო, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულებები კრიტერიუმს კარგად აკმაყოფილებს, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები ან/და რისკები.
- 4 = კარგი, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება კრიტერიუმს ძალიან კარგად აკმაყოფილებს, მაგრამ არსებობს გარკვეული ნაკლოვანი მხარეები.
- 5 = ძალიან კარგი, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება აკმაყოფილებს კრიტერიუმის ყველა შესაბამის ასპექტს და ნაკლოვანი მხარე არ არსებობს ან უმნიშვნელოა.

I. ორეტაპიანი პროცედურა

საპროექტო იდეა

ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება

განაცხადი დადგენილი ფორმით არის წარდგენილი	<input type="checkbox"/>
გამოცხადებული კონკურსით მოთხოვნილი დოკუმენტები თანდართულია	<input type="checkbox"/>
პროექტის შინაარსი შეესაბამება ღონისძიების/ქვე-ღონისძიების გამოცხადებული კონკურსის პირობებს	<input type="checkbox"/>
განაცხადი წარდგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ	<input type="checkbox"/>
პროექტი ხორციელდება უფლებამოსილ რეგიონში	<input type="checkbox"/>
პროექტი ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (დასახლება) ტერიტორიაზე	<input type="checkbox"/>
პროექტის ხანგრძლივობა არ არის მოთხოვნილზე უფრო მეტი ან ნაკლები	<input type="checkbox"/>
საკონკურსო პირობებით დადგენილი თანადაფინანსების მოთხოვნა სრულდება	<input type="checkbox"/>
პროექტი იცავს ანტიდისკრიმინაციის პრინციპს**	<input type="checkbox"/>
საკონკურსო პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტები მოქმედია (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რეგენერაციის გეგმა და ა.შ.)	<input type="checkbox"/>

** ანტიდისკრიმინაციის პრინციპი გათვალისწინებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

ტექნიკური ქულების მინიჭება

პროექტის შესაბამისობა ღონისძიების/ქვეღონისძიების მიზანთან/მიზნებთან	35
გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე დასაბუთებულია	5 x 2
კავშირი პროექტის განხორციელებასა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს შორის	5 x 2
დადასტურებული კავშირი სხვა პროექტებთან ან/და სრიგპ-ის სხვა ღონისძიებებთან/ქვეღონისძიებებთან ²	5 x 2
პროექტის შესაბამისობა ადგილობრივი ეკონომიკური გეგმით განსაზღვრული პრობლემების მოგვარებასა და პოტენციალის გამოყენებაზე	5
პროექტის შედეგისა და განხორციელების მიდგომის ხარისხი	45
პრობლემის ანალიზის ხარისხი (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი)	5 x 2
პრობლემებზე რეაგირების თანმიმდევრულობა	5
პროექტის აქტივობების და მოსალოდნელი შედეგების ურთიერთთავსებადობა	5 x 2
პროექტის მზაობა	5 x 2
პროექტის განხორციელების ვადების გონივრულობა	5
პროექტის შედეგების მდგრადობის დასაბუთება	5
ბიუჯეტი და დანახარჯების ეფექტიანობა	20
ბიუჯეტის თანაზომადობა მიზანთან (დანახარჯებსა და შედეგებს შორის შეფარდება)	5 x 2
თანადაფინანსების მოცულობა და თანადაფინანსების წყაროების სანდოობა	5 x 2
სულ	100

შეფასების შედეგი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ფორმატში

პროცესი	დაიხ/არა	ქულა
ადმინისტრაციული შემოწმება		
უფლებამოსილების შემოწმება		
შესაბამისობის შემოწმება		
ტექნიკური ქულების მინიჭება		
შემფასებლის რეკომენდაცია	<i>მოკლე განმარტება საპროექტო იდეის შეფასების, რეკომენდაციისა და წინასწარი შერჩევის თაობაზე</i>	

წარმოდგენილი საპროექტო იდეების შეფასების შემდეგ, შესაბამისი სამსახური ამზადებს განაცხადების ჩამონათვალს, სადაც წარმოდგენილია შემოწმების შედეგები და ქულებს დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციით.

² მათ შორის, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, გაეროს განვითარების პროგრამის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, აზიის განვითარების ბანკის პროგრამების და ა.შ. ფარგლებში/მიერ განხორციელებულთან, რომლებიც უფრო ადრე განხორციელდა იმ პროექტი წარმდგენის/პარტნიორების მიერ, რომელმაც დაფინანსება მოითხოვა.

დანართი 5. შეფასების კრიტერიუმები

წარდგენილი პროექტი, რომელიც ვერ გაივლის ადმინისტრაციულ და შესაბამისობის შემოწმებას არ განიხილება.

ქულების მინიჭების ტექნიკური სახელმძღვანელო (შეფასების კრიტერიუმები) / ქულების მინიჭების პრინციპები:

0 = **მიუღებელი** ან იმ შემთხვევაში, როცა დოკუმენტური მტკიცებულება ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს ან ვერ ხერხდება მისი შეფასება ინფორმაციის არარსებობის ან არასრული ინფორმაციის გამო.

1 = **ძალიან ცუდი**, იმ შემთხვევაში, როდესაც კრიტერიუმში არასათანადოდ სრულდება ანუ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები.

2 = **ცუდი**, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულებები მხოლოდ ზოგადად შეესაბამება კრიტერიუმს, ანუ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები ან/და რისკები.

3 = **სათანადო**, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულებები კრიტერიუმს კარგად აკმაყოფილებს, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები ან/და რისკები.

4 = **კარგი**, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება კრიტერიუმს ძალიან კარგად აკმაყოფილებს, მაგრამ არსებობს გარკვეული ნაკლოვანი მხარეები.

5 = **ძალიან კარგი**, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება აკმაყოფილებს კრიტერიუმის ყველა შესაბამის ასპექტს და ნაკლოვანი მხარე არ არსებობს ან უმნიშვნელოა.

საპროექტო წინადადების სრული განაცხადი

ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება

განაცხადი მოთხოვნილი ფორმით არის წარდგენილი	<input type="checkbox"/>
გამოცხადებული კონკურსით მოთხოვნილი დოკუმენტები თანდართულია	<input type="checkbox"/>
არსებობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონებისა და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	<input type="checkbox"/>
განაცხადი წარდგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ	<input type="checkbox"/>
პროექტი ხორციელდება უფლებამოსილ რეგიონში	<input type="checkbox"/>
პროექტი ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (დასახლება) ტერიტორიაზე	<input type="checkbox"/>
პროექტის ხანგრძლივობა არ არის მოთხოვნილზე ნაკლები ან მეტი	<input type="checkbox"/>
პროექტი გარემოს დაცვის თვალსაზრისით ნეიტრალურია ან დადებითია (უარყოფითი გავლენის შემთხვევაში, წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთება)	<input type="checkbox"/>
პროექტი იცავს ანტიდისკრიმინაციის პრინციპს	<input type="checkbox"/>
პროექტის შინაარსი შეესაბამება ღონისძიების/ქვე-ღონისძიების გამოცხადებული კონკურსის პირობებს	<input type="checkbox"/>
საკონკურსო პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტები მოქმედია (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რეგენერაციის გეგმა, ა.შ.)	<input type="checkbox"/>
პროექტი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საპროექტო იდეის განაცხადის ფორმის შინაარსისგან	<input type="checkbox"/>

ტექნიკური ქულების მინიჭება

პროექტის შესაბამისობა ღონისძიების/ქვეღონისძიების მიზანთან/მიზნებთან	40
---	----

გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე დასაბუთებულია ³	5 x 2
პროგრამისთვის/ღონისძიებისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებზე პროექტის გავლენის ხარისხი ⁴	5
კავშირი პროექტის განხორციელებასა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს შორის ⁵	5 x 2
დადასტურებული კავშირი სხვა პროექტებთან ან/და სრიგპ-ის სხვა ღონისძიებებთან ⁶	5 x 2
პროექტის შესაბამისობა ადგილობრივი ეკონომიკური გეგმით განსაზღვრული პრობლემების მოგვარებასა და პოტენციალის გამოყენებაზე ⁷	5
პროექტის შედეგისა და განხორციელების მიდგომის ხარისხი	35
პრობლემის ანალიზის ხარისხი (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი) ⁸	5 x 2
პრობლემებზე რეაგირების თანმიმდევრულობა ⁹	5
პროექტის აქტივობების და საბოლოო შედეგების ურთიერთთავსებადობა ¹⁰	5
პროექტის მოსალოდნელი მყისიერი და მოსალოდნელი შედეგების მაჩვენებლების სანდოობა ¹¹	5
დროის განრიგის გონივრულობა ¹²	5
პროექტის შედეგების მდგრადობის დასაბუთება ¹³	5
ბიუჯეტი და დანახარჯების ეფექტიანობა	25
ბიუჯეტის თანაზომადობა მიზანთან (დანახარჯებსა და შედეგებს შორის შეფარდება)	5 x 2
პროექტის აქტივობების ღირებულების სათანადო განფასება	5
თანადაფინანსების მოცულობა და თანადაფინანსების წყაროების სანდოობა	5 x 2
სულ	100

³ პროექტი ამჟღავნებს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე დადებითი გავლენის მოხდენის მაქსიმალურ პოტენციალს

⁴ უნდა შეფასდეს, თუ რა დონით შეიტანს პროექტი წვლილს სრიგპ-ის ღონისძიებების განხორციელებასა და შესაბამისი ინდიკატორების მიღწევაში. როგორც წესი, ეს შეფასება გამომდინარეობს „პროექტის აღწერა/დასაბუთებიდან“ (მაგალითად, ღონისძიება 4.2 ხელს უწყობს შემდეგს: ბიზნესის ბრუნვა, ვიზიტორთა რაოდენობა, ენერჯის ეფექტური გამოყენება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება; იმ შემთხვევაში თუ პროექტს გავლენა აქვს ერთზე მეტ ინდიკატორზე, იგი ავლენს უფრო მეტად ინტეგრირებულ ხასიათს და მას უფრო მაღალი ქულა უნდა მიენიჭოს)

⁵ პროექტი უნდა აჩვენებდეს, რომ ის დროის მოცემულ მონაკვეთში ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებისა და შემოსავლის ზრდას

⁶ ყურადღება უნდა მიექცეს პროექტის მიზნების შესაბამისობას სრიგპ-ის ღონისძიებებთან. როგორც წესი, ეს შემოწმება გამომდინარეობს „პროექტის აღწერა/დასაბუთებიდან“ (ასევე, ღონისძიებისთვის 4.2, ასეთი შეიძლება იყოს ღონისძიება სრიგპ-ის ღონისძიება 4.1, 4.3 და სხვა.)

⁷ უნდა შეფასდეს, თუ როგორ შეაქვს პროექტს წვლილი ადგილობრივი ეკონომიკური გეგმის მიზნების მიღწევაში

⁸ უნდა დადგინდეს, რას ეფუძნება პროექტის ლოგიკა და სათანადოდ არის თუ არა წარმოდგენილი სრიგპ-ის მიზნებთან/ღონისძიებებთან შესაბამისობა; ეფუძნება თუ არა პროექტის დასაბუთება ფაქტებს და მათ სათანადო განსჯას; კონკრეტული მიზანი უზრუნველყოფს თუ არა სტრატეგიული მიზნების მიღწევას და რა არის ძირითადი დაშვება (ვარაუდი) პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის

⁹ უნდა ჩანდეს პროექტის აქტივობები: როგორ პასუხობს პროექტში დასმული პრობლემების გადაჭრის მიზნებს; წარმოადგენს თუ არა მოვლენათა ლოგიკურ ჯაჭვს, რომელსაც პრობლემის გადაჭრამდე მიყვავართ; რამდენად შესაბამეა პროექტის მყისიერ და საბოლოო შედეგებს

¹⁰ უნდა შეფასდეს, როგორ მიყვავართ პროექტის აქტივობებს მყისიერ შედეგებამდე და ეს უკანასკნელი როგორ უზრუნველყოფს პროექტის საბოლოო შედეგების მიღწევას

¹¹ უნდა შეფასდეს: რამდენად რეალისტურია პროექტის მყისიერი და საბოლოო შედეგები; რამდენად შესაბამეა პროექტის აქტივობები დასახულ შედეგებს; პროექტის საბოლოო შედეგების მიღწევადობა და შესაძლო გავლენა (სადაც შესაძლებელია). კარგად ფორმულირებული ლოგიკური ჯაჭვი უნდა ხსნიდეს, თუ როგორ გარდაიქმნება პროექტის მყისიერი შედეგები საბოლოო შედეგებად, რომელთაც ექნებათ ფართო სოციალური და გეოგრაფიული მასშტაბებით დადებითი გავლენის მოხდენის მაღალი პოტენციალი.

¹² უნდა შეფასდეს, რამდენად რეალისტურია პროექტის აქტივობათა სრულად და ეფექტურად განხორციელება დროის მოცემულ პერიოდში; როგორ არის დროში განაწილებული სამუშაოს მოცულობა. დროის განრიგი უნდა იყოს დეტალური, განხორციელებადი და შესაბამისი პროექტის აქტივობებთან

¹³ უნდა შეფასდეს პროექტის მყისიერი შედეგების მედეგობა (საექსპლუატაციო ვარგისიანობა. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს) და პროექტის მყისიერი და საბოლოო შედეგების მდგრადობა (უნდა ჩანდეს, როგორ იქნება შენარჩუნებული პროექტის შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ და უზრუნველყოფილი შედეგების შენარჩუნებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერა)

შეფასების შედეგი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ფორმატში

ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება (დიახ/არა)	
ტექნიკური ქულა	
შემფასებლის რეკომენდაცია	<i>მოკლე განმარტება საპროექტო წინადადების სრული განაცხადის შეფასების, რეკომენდაციისა და წინასწარი შერჩევის თაობაზე¹⁴</i>

¹⁴ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების სრული განაცხადის შეფასების შემდეგ, შესაბამისი სამსახური ამზადებს განაცხადების ჩამონათვალს, სადაც წარმოდგენილია შემოწმების შედეგები და ქულები, დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციით.